

## განრიდების გამოყენების პროცესუალური ასპექტები



შოთა ქადარია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შოთა ქადარია

24.02.2022 წ.

## აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება განრიდების გამოყენებას სისხლის სამართლის პროცესში. განრიდების ინსტიტუტი არის ახალი გამოწვევა, როგორც თეორიტიკოსი, ასევე პრაქტიკოსი იურისტებისთვის, სწორედ ამიტომ დიდი ინტერესი არსებობს განრიდების ინსტიტუტს.

ნაშრომში მკითხველი შეძლებს გაეცნოს და მიიღოს ინფორმაცია, თუ რას ნიშნავს განრიდება, რა მიმართულებები გააჩნია მას, ასევე გააცნობიერებს ინსტიტუტის დადებით და უარყოფით მხარეებს. ნაშრომი აუცილებლად შეეხება პროკურორის, როლს და მის დიკრეციულ უფლებამოსილებას განრიდების გამოყენების პროცესში. ნაშრომში მკითხველი გაეცნობა განრიდების ინსტიტუტთან დაკავშირებულ გამოწვევებს, ასევე შეთავაზებული იქნება მათი დაძლევის გზები.

ჩვენი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს განრიდება, მაგრამ მის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებობს, რამდენიმე ხარვეზი, მაგალითად პროკურორის როლი იმაზე მაღალია ვიდრე საჭიროება მოითხოვს, ასევე დაზარალებულის უფლებები და ბევრი სხვა საკითხი რასაც მკითხველი ნაშრომში აუცილებლად დაინახავს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** განრიდება, სისხლისსამართლებრივი დევნა, ალტერნატიული მექანიზმი, განსარიდებელი პირი, მეორე შანსი.

## Abstract

The presented master thesis deals with the use of diversion in criminal proceedings. The Institute of Diversion is a new challenge for both theorists and practitioners of law, which is why the Institute of Diversion is of great interest.

In the paper, the reader will be able to get acquainted and get information about what diversion means, what directions it has, as well as understand the pros and cons of the institute. I will definitely touch on the role of the prosecutor and his / her discretion in the process of using diversion. In this paper, the reader will see the main directions and challenges facing the institution of diversion.

Diversion is the biggest gain for the criminal law of our country, but there are some shortcomings in its application, for example the role of the prosecutor is higher than the need, as well as the rights of the victim and many other issues that readers will see in the paper.

**Key search terms:** diversion, prosecution, alternative mechanism, person to be excluded, second chance.